ხელშეკრულება

ქ. თბილისი 22 სექტემბერი, 2014 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ამ ხელშეკრულების თანახმად ერთის მხრივ ინდ. მეწარმე ტარიელ სრესელი პ/ნ01001010802 (შემდგომში „მეიჯარე“), ხოლო მეორეს მხრივ ინდ.მეწარმე თინათინ ხიზანიშვილი, პ.ნ/01020011424 (შემდგომში „მოიჯარე“) ვდებთ ურთიერთხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

2. ინდ. მეწარმე ტ. სრესელის ვალდებულებანი:

2.1. ამ ხელშეკრულების თანახმად მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს, დროებით სარგებლობაში ქ.თბილისში ჯავახეთის ქუჩაზე ვარკეთილის ზემო პლატოს მე–2 მ/რაიონის მე–10 კორპუსის მიმდებარედ არსებული შენობა–ნაგებობებიდან 40მ² სამეწარმეო ფართს, მისი შემოსავლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

2.2. მეიჯარე ვალდებულია არ შეუშალოს ხელი მოიჯარეს, იჯარით აღებული ფართის კანონიერ–ეკონომიური საქმიანობის განხორციელებაში.

3. ინდ. მეწარმის ვალდებულებანი:

3.1. მთლიანად ხდება მატერიალური პასუხისმგებელი პირი ინდ.მეწარმე ტ.სრესელისაგან იჯარით აღებული. ფართის დაცვაზე მისი შიდა აღჭურვილობისა და გარეგანი ხედის კომპლექტაციის სრულ შენარჩუნებაზე.

3.2. განუხრელად დაიცვას ბუნების დაცვის, შრომის დაცვის, ტექნიკური უსარფთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ზემდგომი მაკონტროლებელი ორგანოების კანონიერი მოთხოვნები.

3.3. მისი საქმიანობის შედეგად მიღებული რაიმე გაუთვალისწინებელი ზარალის შემთხვევაში აანაზღაუროს როგორც ინდ.მეწარმე ტ. სრესელზე, ასევე, მესამე პირზე მიყენებული მთლიანი ზარალი. მასვე დაევალოს იჯარით გაცემულ ფართზე როგორც მიმდინარე რემონტის ჩატარება, ასევე იჯარით აღებული ფართის მიმდებარედ არსებული მოსახლეობისათვის განკუთვნილ სავალ ნაწილზე სისუფთავის სრული უზრუნველყოფა.

3.4. იჯარის ნაადრევად შეწყვეტის ან საიჯარო ხელშეკრულების დამთავრების მერე მის მიერ იჯარით აღებული ფართი (შენობა) ჩააბაროს მეიჯარე ტ.სრესელს ისეთივე ტექნიკურ და ესთეტიკურ მდგომარეობაში როგორ მდგომარეობაშიც ჩაიბარა მისგან.

3.5. ყოველთვიურად იხადოს მის მიერ დახარჯული ელ.ენერგიის, წყლისა და ნაგვის გადასახადი.

4. ხელშეკრულების საგნის ფასი და ანგარიშსწორების წესი:

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იჯარის ფასი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და შეადგენს ყოველთვიურად 1700 ლარს. მოიჯარეს საიჯარო გადასახადის გადახდის ვადის ათვლა დაეწყოს 2014 წლის 5 ოქტომბრიდან.

4.2. ხელშეკრულების საგნის ფასის გადახდა განხორციელდეს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით ყოველი მომდევნო თვის არაუგვიანეს 5 (ხუთი) რიცხვამდე.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები:

5.1. როგორც მეიჯარეს, ასევე მოიჯარეს საქართველოში ეკონომიური პირობების მკვეთრად შეცვლის (ფულადი დევალვაცია, ფასების მნიშვნელოვანი ცვლილებები და ა.შ.) შემთხვევაში უფლება აქვთ მოითხოვონ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენაც. ფასების გადასინჯვა.

6. ფორს–მაჟორი

6.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორსმაჟორული გარემოებების შემთხვევაში (საომარი ვითარება, სამოქალაქო გადატრიალება, სტრიქიური უბედურება და ა.შ.), რაც რეალურად შეუძლებელს ხდის ამ ხელშეკრულებით ნაკისრ–ვალდებულების შესრულებას.

6.2. მხარე, რომელიც აღმოჩნდა ფორს–მაჟორულ ვითარებაში, ვალდებულია შესაძლებლობისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

6.3. ფორს–მაჟორული ვითარებისთანავე, მხარე რომელსაც შეეხო ეს გარემოებები ვალდებულია, შესაძლებლობისთანავე უმოკლეს ვადაში აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

6.4. ამ ხელშეკრულების 6.2, 6.3, პუნქტებში აღნიშნულ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება მოიხსნას პასუხისმგებლობა ფორს–მაჟორული გარემოებების გამო.

7. სხვა პირობები

7.1. მოიჯარე ვალდებულია დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების კონფედენციალობა და მეორე მხარის ნებართვის გარეშე არ გაანდოს მასთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ წერილობითი შეთანხმებისა და მხარეთა მიერ მასზედ ხელმოწერის მომენტიდან.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ ახდენს რაიმე გავლენას მის სხვა პუნქტებზე.

7.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის განხორციელებისას წარმოშობილ ისეთი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, რომელიც სცილდება საკუთრივ, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებს, გამოიყენება შესაბამისი

ურთიერთობის მარეგულირებელი საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედების ვადა და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება დადებულად ითვლება მასზედ მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია 2015 წლის 1 იანვრამდე.

8.2. ამ ხელშეკრულების 3.1, 3.2, 3.3, 3.5, 4.1, 4.2, პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეიჯარეს უფლება აქვს დაუყოვნებლივ გააუქმოს მოიჯარესთან ხელშეკრულება.

8.3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაუქმების შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან ერთი თვით ადრე (სიტყვიერად ან წერილობით) აცნობონ ურთიერთს.

9. სადაო საკითხები

9.1. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაო საკითხები გადაწყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით. ურთიერთმოლაპარაკებით მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მეშვეობით.

მ ხ ა რ ე ე ბ ი

მეიჯარე:

ინდ.მეწარმე

ტარიელ სრესელი

პ/ნ01001010802

„05“ 10 2014წ.

მოიჯარე:

ინდ.მეწარმე

თინათინ ხიზანიშვილი

პ/ნ01020011424

„05“ 10 2014წ.